პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8

ქ.თბილისი 28.07.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ლიანა ზამბახიძე - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;
ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. გიორგი ბერაია - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ გეორგიას დირექტორი;
2. მაკა ბულუსკირია - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ გეორგიას სასწავლო განყოფილების გამგე;
3. ვასილ კიკნაძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას დირექტორი;
4. დალი კალაძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი;
5. მზია ოსიაშვილი - შპს კოლეჯ ხვალინდელი წარმატებისათვის დირექტორი;
6. ირაკლი ნოსელიძე - შპს კოლეჯ ხვალინდელი წარმატებისათვის წარმომადგენელი;
7. გელა ჯავახიშვილი - შპს კოლეჯ ხვალინდელი წარმატებისათვის წარმომადგენელი;
8. ნინო ჩუბინიძე - შპს კოლეჯ ხვალინდელი წარმატებისათვის წარმომადგენელი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტი):

თეა შაყულაშვილი;
მაყვალა დარსანია;
ეკა ლუაშვილი;
თამარ ვალიშვილი;
ეკატერინე გიგაშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
თამარ რემიშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 14:27 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.თავმჯდომრემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ გეორგიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კოლეჯ ხვალინდელი წარმატებისათვის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ გეორგიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თეა შაყულაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფუნქციონირების მრავალ წელს ითვლიდა. სამივე სტანდარტთან მიმართებით დაკმაყოფილებული იყო მოთხოვნები.

თეა შაყულაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამებისა და თანდართული სილაბუსების გადამოწმების შედეგად დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობები, რომელებიც ვიზიტის მსვლელობისას გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ და წარმოდგენილ იქნა შენიშვნების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულება ახორციელებდა თორმეტ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებიც იყო საგნობრივი. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება შედიოდა იმ სამ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, რომელსაც მოპოვებული ჰქონდა ხარისხის მართვის/ხარისხის მენეჯმენტის ევროპული მოდელის (EFQM Excelence Model) სერტიფიკატი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ავტორიზაციის ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 416-ით. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სწავლება მოხდებოდა ორ ცვლაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ გეორგიასთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 416-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ გეორგიას (ს/კ: 204859634) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 416-ით.

2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ განაცხადა თვითაცილება, რადგან იგი იყო შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას დირექტორის მოადგილე. შესაბამისად, ის ვერ მიიღებდა მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ ვალიშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო სამედიცინო მიმართულების და ახორციელებდა სამედიცინო პროფილის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულება აღჭურვილი იყო სწავლებისათვის აუცილებელი სამედიცინო ინვენტარითა და სასწავლო რესურსით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული იყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ერთდროულად შეეძლო 410 პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყო სასწავლო პროცესი. შესაბამისად, თუ ორ ცვლაში მოხდებოდა სწავლება 800 სტუდენტისათვის შეძლებდა დაწესებულება საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ პროფესიული სტუდენტები დიდ დროს ატარებდნენ კლინიკურ ბაზებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 700-ით, ორ ცვლაში სწავლების პირობით. მისი განმარტებით, წინა ავტორიზაციის შემდეგ ორჯერ გაიზარდა დაწესებულების ინფრასტრუქტურაც.

საბჭოს წევრებმა გამოხატეს თავიანთი დადებითი დამოკიდებულება დაწესებულების მიმართ და აღნიშნეს, რომ დაწესებულება გამოირჩეოდა კერძო სექტორთან თანამშრომლობის წარმატებული პრაქტიკით. მათი განმარტებით, დაწესებულებას თავისი მყარი ადგილი ეკავა სამედიცინო მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (ს/კ: 400023595) 2016 წლის 4 აგვისტოდან მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700-ით, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 12-ით.

3. შპს კოლეჯ ხვალინდელი წარმატებისათვის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფეტვიაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულება აკმაყოფილებდა სამივე სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ მეხუთე საფეხურის ბუღალტრის პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რამდენიმე სახელმძღვანელო არ ჰქონდა დაწესებულებას ბიბლიოთეკაში, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა ინდმეწარმესთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა წიგნების მიწოდება 2016-2017 სასწავლო წლის დაწყებამდე, არაუგვიანეს 15 სექტემბრისა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ავტორიზაციის ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას გაფორმებული სხვა დაწესებულებასთან ხელშეკრულება პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა მობილობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ჯერ არ ახორციელებდნენ ბუღალტრის მეხუთე საფეხურის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულ პირ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხელშეკრულების დასადებად საჭირო იყო განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს თანხმობა, რომლის მოპოვებასაც გეგმავდა დაწესებულება. წარმომადგენელმა დაწესებულების სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგეგმებოდა ასევე, საავიაციო მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. აღნიშნული პროგრამები დაფუძნებული იქნებოდა ევროპულ სტანდარტებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ჯაყელმა აღნიშნა, რომ ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისას, თუ მოხდებოდა კერძო და საჯარო სექტორის საბუღალტრო აღრიცხვის დიფერენცირება, ეს შეუწყობდა ხელს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროფესიული პროგრამის, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 140-ით. მან ასევე აღნიშნა, ორ ცვლაში სწავლების პირობით,

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯ ხვალინდელი წარმატებისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კოლეჯ ხვალინდელი წარმატებისათვის (ს/კ:404506502) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:15 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე